

„ნაციონალური“ საარჩევნო ადმინისტრაციები

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის ქუთაისში საარჩევნო ადმინისტრაციები მუშაობას უკვე შეუდგნენ. ქალაქში სულ 127 საარჩევნო უბანია გახსნილი.

საარჩევნო ადმინისტრაციები ამ დროისთვის ყველა უბანზე სრულად არის დაკომპლექტებული. თუმცა, ოპოზიცია მათ მიერ საუბნო კომისიებში წარდგენილი წევრების გამოცვლას არ გამოირიცხავს. მიზეზად ხელისუფლების მხრიდან მათი წევრების შესაძლო მოსყიდვას და დაშინების მცდელობას ასახელებენ.

სამაგიეროდ, მმართველი პარტია და საოლქო საარჩევნო კომისია დღემდე „შემატებილებულად“ მოქმედებს. წინა, 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების მსგავსად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ქუთაისის №59 საოლქო საარჩევნო კომისიამ უბნებში დანიშნული წევრები ამჯერადაც ერთმანეთში გააგულეს.

თეა ჯიჯიბაძე



უბნებზე სალქოს კვლით არჩეული თავმჯდომარეების, მოადგილეებისა და რიგითი წევრების დიდი ნაწილი „ნაციონალების“ აქტივისტები და კოორდინატორები არიან

რა პრინციპით აკომპლექტებენ საარჩევნო ადმინისტრაციებს, რამდენად კვალიფიციური კადრები არიან კომისიებში და რამდენად მზად არის საოლქო კომისია და საარჩევნო უბნები საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად? - „ახალი გაზეთი“ ამ კითხვებით დაინტერესდა. როგორც აღმოჩნდა, ხშირ შემთხვევაში, საუბნო კომისიის წევრების გამოცვლას და სერთიფიკატს მმართველი პარტიიდან წამოსული დირექტივები ანაცვლებს. შესაბამისად, საუბნო კომისიებში საოლქოს კვლით არჩეულთა შორის მრავლად არიან „ნაციონალების“ კოორდინატორები და აქტივისტები, მათ შორის, საჯარო სამსახურში დასამუშავებული პირები.

საარჩევნო ადმინისტრაცია „კონსერვატივის“ ბარაშე

საუბნო საარჩევნო კომისიის 13-წევრიანი შემადგენლობიდან 6 წევრს საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს კონსერვატივის წესით, ხოლო 7 წევრს პოლიტიკური პარტიები წარადგენენ. პოლიტიკური პარტიებს იმავე პროპორციული მაჩვენებლით თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ საოლქო საარჩევნო კომისიაში.

ქუთაისის №59-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში, მუდმივი წევრებიდან (არაპარტიული წევრი) ცვლილება მხოლოდ ერთ წევრს - კომისიის მდივანს შეეხო. კომისიის მდივანის თანამდებობაზე, ქეთევან ნაცვლიშვილის ნაცვლად, მაია დათუასანი დაინიშნა. (აღსანიშნავია, რომ კომისიის ყოფილი მდივანი ნინო ბურჯანაძის კადრად ითვლებოდა).

საოლქო და საუბნო კომისიებში კი პარტიული შემადგენლობა ასე გადახაწილდა: თავიანთი წევრები ჰყავთ შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს: „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“, „ევროპულ-დემოკრატებს“, „ქრისტიან-დემოკრატიულ სახალხო პარტიას“, „ლეიბორისტულ პარტიას“, „ნაციონალურ მოძრაობას“, „მრეწველებს“ და „კონსერვატორებს“.

ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ავთანდილ ოსეფაიშვილის თქმით, პოლიტიკურმა სუბიექტებმა სრულად გამოიყენეს მათთვის მინიჭებული კვოტა.

რაც შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიებში საოლქოს მიერ ასარჩევნო წევრებს, ოლქიდან მიღებული მონაცემებით ირკვევა, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის

უბნების დასაკომპლექტებად საოლქოს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე კონკურენცია თითქმის არ ყოფილა. კერძოდ, საოლქო კომისიაში სულ 776 განაცხადი შევიდა, აქედან კომისიამ 762 წევრი შეარჩია. განსხვავებით, გასული, 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებისგან, როდესაც საოლქო კომისიაში 900-მდე განაცხადი შევიდა, რომელთაგან 756 წევრი იქნა არჩეული (126 საარჩევნო უბანზე).

ზაპირი ბრალდება

ოპოზიცია აცხადებს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებში წევრების შესარჩევად საოლქოს მიერ კონკურსის გამოცხადება ფორმალურ ხასიათს ატარებს. რადგან საოლქო კომისიის კვლით წევრების არჩევა პარტიული ნიშნით ხდება და არა პროფესიონალიზმის გათვალისწინებით. შესაბამისად, ისინი „ნაციონალების“ შტაბიდან რეკომენდაციას ვეღვაწეული ადამიანები არიან.

„მათთვის არახალია არჩევნების გაყალბება. ისინი „ნაციონალების“ დანაშაუტს წარმოადგენენ და არა ნამდვილ საარჩევნო ადმინისტრაციას“, - ამბობს „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი გოგი წულაია.

„ეს ადამიანები პირდაპირ „ნაციონალების“ შტაბიდან რეკომენდაციას ვეღვაწეული ადამიანები არიან და არანაირი ობიექტური შერჩევა არ მომხდარა, იმის გათვალისწინებით, ვინ იყო კვალიფიციური. ეს იყო „ნაციონალების“ შტაბიდან გადმოტანილი სახელები და გვარები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ „ნაციონალების“ გამარჯვება თითოეულ უბანში“, - აცხადებს „ლეიბორისტული პარტიის“ ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი სამსონ გუგავა. მისივე განმარტებით, სწორედ ზემოთ აღნიშნული მოტივით არ დაუჭირა მხარი „ლეიბორისტულმა პარტიამ“ საოლქოს მიერ წევრების არჩევას.

საოლქოს მიერ არჩეულ წევრებს მხარდაჭერა არც „ქრისტიან-დემოკრატიკებმა“ გამოუცხადეს. მიზეზი მათთანაც მსგავსია: „ე.წ ნეიტრალური წევრების დანიშვნა როდესაც ხდებოდა ამ სხდომაზე, გვექონდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს ადამიანები „ნაციონალების“ წევრები და პარტიის ფარული მხარდამჭერები იყვნენ. ამიტომ, ჩვენ მათ მხარი არ დავუჭირეთ - რადგან ყველა ნეიტრა-

ლური არ არის ნეიტრალური“, - ამბობს „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დვალი.

„ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ ინფორმაცია კომისიის წევრების პარტიულობის შესახებ მათაც აქვთ, თუმცა, წევრების არჩევისას მათმა წარმომადგენლებმა საოლქოს წევრებს ნდობა მაინც გამოუცხადეს.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ კი ოპოზიციის ბრალდებებს აბსურდულს უწოდებენ. პარტიაში აცხადებენ, რომ „ნაციონალები“ ისევე, როგორც სხვა პოლიტიკური პარტიები, კომისიებში საკუთარი წევრებით არიან წარმოდგენილნი და ისინი საოლქოს გადაწყვეტილებებში არ ერევიან.

„ეს ბრალდებები ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. საოლქოში გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით მიიღება. აქ მარტო თავმჯდომარე ან მოადგილე ვერაფერს წყვეტს. კომისიის წევრი კანონს უნდა ემსახურობოდეს და არა მისი წარმომადგენი პარტიის ინტერესებს. თუ მსგავსი რამ ჩემთვის გახდა ცნობილი, აუცილებლად მივიღებ ზომებს“, - ამბობს ქუთაისის №59-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ოსეფაიშვილი.

რამდენად მოუწევს საოლქო საარჩევნო კომისიას ზომების მიღება, უცნობია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვერც ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი მათ მიერ გაყვლებულ ბრალდებებს ვერ ასაბუთებს. კონკრეტული სახელებისა და მაგალითების დასახელების სანაცვლოდ, ისინი მხოლოდ მტკიცების ფორმით შემოიფარგლებიან.

„შეგვიძლია დაკონკრეტება, რომ საოლქოს მიერ არჩეული წევრები „ნაციონალების“ მხარდამჭერები არიან, მაგრამ რეალურად თავს შევიკავებთ. არ გვიყვარს ჩვენი პოლიტიკური მიზნები გამოვიყენოთ ადამიანის პიროვნული დისკრედიტაციისთვის. ეს ყველაზე სწორი პოზიციაა“, - ამბობს „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დვალი.

„რომელი არჩევნებიც ჩატარდა, ყველა გაყალბდა. მე ამ წუთში თან არ მაქვს კომისიის წევრების სია. თუმცა, ესენი ის ადამიანები არიან, ვინც მუდმივად აყალბებდა არჩევნებს“, - ამბობს „ლეიბორისტი“ სამსონ გუგავა.

„ნაციონალური“ საოლქოს სტატუსით

რამდენად რეალურია ოპოზიციის ზეპირი ბრალდებები და ირჩევენ თუ არა საოლქო კომისიაში წევრებს პარტიული კუთვნილების მიხედვით? ეს ინფორმაცია „ახალი გაზეთმა“ გადაამოწმა. როგორც აღმოჩნდა, საუბნო კომისებში თანამდებობებზე (თავმჯდომარე, მოადგილე) დანიშნულთა უმეტესობა კვლავაც ძველი სანაა. შესაბამისად, მათ შორისაა მერიაში დასაქმებული პირები, სკოლის დირექტორები და ა.შ.

მაგალითად, №8 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ვალერიან თევდორაძე, რომელიც უბანზე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ წევრად არის მივლინებული. აღნიშნულ პიროვნებას ქუთაისის მერიაში მიწისა და ქონების მართვის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობა უჭირავს.

საუბნო საარჩევნო კომისიებში მრავლად არიან სკოლის დირექტორები. წინა არჩევნების მსგავსად, თავმჯდომარის თანამდებობა შეინარჩუნა ქუთაისის №1 საჯარო სკოლის დირექტორმა თამაზ ცხადაძემ. მხოლოდ იმ განსახვავებით, რომ №41 საარჩევნო უბნის ნაცვლად, ამჯერად ის თავმჯდომარედ №28-ე საარჩევნო უბანზე დაინიშნა, საოლქო საარჩევნო კომისიის ქვლით. №110 უბანზე თავმჯდომარედ არჩეული იქნა №17-ე საჯარო სკოლის დირექტორი ირინე ჯგერენია, რომელიც ოფიციალურად საოლქოს მიერ არის უბანში არჩეული.

ჯამში, ქუთაისში, 127 საუბნო საარჩევნო კომისიიდან, ოფიციალურად, თავმჯდომარის თანამდებობა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს არ მიუღია და ისინი ოქლის მიერ არჩეული წევრები არიან უბნებზე. ხოლო მოადგილის თანამდებობა მხოლოდ ორ უბანზე ორ პარტიულ წევრს ხვდა წილად (ერთი „ნაციონალს“ და ერთ „ქრისტიან-დემოკრატს“). დანარჩენ უბნებზე მოადგილეებად, თავმჯდომარეების მსგავსად, საოლქოს მიერ წარდგენილი წევრები არიან არჩეულები, რომლებიც, როგორც წესი, დამოუკიდებელ წევრებად ითვლებიან. თუმცა, „ახალი გაზეთმა“ გაარკვია, რომ უბნებზე სალქოს კვლით არჩეული თავმჯდომარეების, მოადგილეებისა და რიგითი წევრების დიდი ნაწილი „ნაციონალების“ აქტივისტები და კოორდინატორები არიან.


ამის დასამტკიცებლად გადავამოწმეთ 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს საუბნო კომისიებში საოლქოს მიერ არჩეული წევრების მონაცემები და გავარკვიეთ, რომ მათი უმეტესობა ამჯერად „ნაციონალების“ მიერ წარდგენილი წევრები არიან საუბნო კომისიებში და პარტიის აქტივის წარმომადგენენ. ხოლო ისინი, ვინც წინა არჩევნების დროს „ნაციონალების“ მიერ იყვნენ დანიშნულნი უბნებზე, დღესდღეობით საოლქოს მიერ არჩეული, დამოუკიდებელი წევრის სტატუსით არიან წარმოდგენილნი.

მაგალითად, №76-ე საუბნო საარჩევნო კომისიაში მოადგილედ არჩეული იქნა ავთანდილ ისიანი, რომელიც კომისიაში წარმოდგენილია როგორც საოლქოს მიერ დანიშნული წევრი. თუმცა, აღნიშნულ პიროვნებას 2010 წლის არჩევნებზე მოადგილის თანამდებობა ეკავა „ნაციონალური მოძრაობის“ კვოტით, №50 საარჩევნო უბანზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ავთანდილ ისიანი, ასევე, არის ქუთაისში პროგრამა „კორპუსის“ (ბინების კეთილმოწყობის პროგრამა) კოორდინატორი, რომელიც აღნიშნული სამსახურისთვის ყოველთვიურად მერიიდან ხელფასის სახით იღებს 250 ლარს. ამას პრემიები და სასაჩუქრე პაკეტი ემატება. სანაცვლოდ, პროგრამა „კორპუსის“ ყველა კოორდინატორს ხელისფლება მოსახლეობის აღწერას, მათი პარტიული კუთვნილების დადგენას და „ნაციონალების“ მხარდაჭერას ავალდებულებს.

იგივე ვალდებულებები აქვს კიდევ ერთ კოორდინატორს ივეტა გვგუჩაძე-სახარულიძეს, რომელიც ამჯერად №21-ე საუბნო საარჩევნო კომისიაში მოადგილედ იქნა არჩეული. აღნიშნულ უბანზე ის საოლქოს მიერ დანიშნულ წევრად ითვლება. თუმცა, მონაცემების გადამოწმების შედეგად ირკვევა, რომ ივეტა გვგუჩაძე, 2010 წლის არჩევნების დროს მოადგილის თანამდებობა ეკავა, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, №95-ე საარჩევნო უბანზე.

საუბნო საარჩევნო კომისიებში თანამდებობებზე არჩეული წევრების გარდა, საოლქო საარჩევნო კომისიამ და „ნაციონალებმა“ რიგითი წევრებიც გაცვალეს. ასე მაგალითად, №1 საარჩევნო უბანზე „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარდგენილი წევრი დარიკო გორგოშიძე, გასულ არჩევნებზე №4 საუბნო კომისიის წევრი იყო საოლქო საარჩევნო კომისიის კვოტით. ასევე, №12-ე უბანზე „ნაციონალების“ მიერ წარდგენილი წევრი ნინო დათუაზე, რომელიც 2010 წლის არჩევნებზე საოლქო კომისიის წევრს წარმოადგენდა №9 უბანზე. გაცვლილ წევრებს შორის არის №55-ე უბანზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დალი თოდაზე, რომელიც გასულ არჩევნებზე მოადგილედ გახლდათ, როგორც საოლქოს წევრი, №74-ე უბანზე. ასეთი მონაცემები დაუსრულებლად შეიძლება მოძებნოთ საუბნო კომისიების შემაღველობაში.

ამ ფონზე ერთადერთი თანამდებობა, სადაც ოპოზიცია მყარად არის წარმოდგენილი, მდივნის პოზიცია გახლავთ: 127 საარჩევნო უბნიდან 20 უბანზე მდივნად არჩეული იქნა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელი, 14 უბანზე - „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის“ წევრი, 19 უბანზე - „ევროპელი დემოკრატები“, 18 უბანზე მდივნობა „კონსერვატორებს“ ერგოთ, 17 უბანზე - „მრეწველებს“, 3 უბანზე - „ლეიბორისტებს“, დანარჩენ უბნებზე მდივნად საოლქოს კვოტით არჩეული წევრი დაინიშნა.



უბნების დასაკომპლექტებლად გამოცხადებულ კონკურსზე კონკურენცია თითქმის არ ყოფილა

მოსალოდნელი საფრთხე

ოპოზიცია ამბობს, რომ მათი პარტიის ბევრმა წევრმა თავი შეიკავა მდივნის თანამდებობაზეც კი, რადგან ამ შემთხვევაში ხელისუფლების მხრიდან ხშირია ზეწოლები და დაშინებები.

„ჩვენი კომისიის წევრები, რომლებიც ვერ უძლებენ წინეს, ვცდილობთ, არ გავაკაროთ ამ პროცესებს. წინა კომისიის წევრებიდან 80% არის შეცვლილი, მათი ნაწილი გაიყიდა ან ჯეროვნად ვერ შეასრულა მოვალეობა. წინა არჩევნებზე ბევრი ინფორმაცია შემომდიოდა წევრების გადაბირების და დაშინების თაობაზე, ეს ბუნებრივია გრძელდება და ალბათ გზადგაზა იჩენს თავს. რადგან ყოველთვის ირთვება წინეს მანქანა, თუკი ვერ მოახერხეს ჩვენი წევრების გადაბირება“ - ამბობს „ლეიბორისტის“ სამსონ გუგავა.

მოსალოდნელ საფრთხეებს არც „ქართულ ოცნებაში“ გამოიციხავენ, თუმცა, ამ ეტაპზე წევრების დაშინების ფაქტები არ აქვთ, ისევე, როგორც „ქრისტიან-დემოკრატებს“.

„გადაბირება, დაშინება, შესაძლებელია ვერ გამოვრიცხოთ, მაგრამ ამ ეტაპზე მსგავსი რამ არ ფიქსირდება,“ - ამბობს დავით დვალი.

პოლიტიკურ სუბიექტებს საუბნო კომისიებში წევრების გამოცვლის ვადა 15 სექტემბრამდე აქვთ.

საოლქო საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებმა ხშირ შემთხვევაში მდივნის კანდიდატურაზე უარი ავადმყოფობის მიზეზით თქვეს, ზოგმა დროის უქონლობის გამო. „მე ვფიქრობ, ეს არის არასწორი პრაქტიკა. ისინი უბრალოდ გაურბიან პასუხისმგებლობას,“ - ამბობს ქუთაისის №59-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ოსეფაიშვილი.

სასაქაო დისციპლინარული გადაცდომისთვის

ქუთაისში, საუბნო საარჩევნო კომისიების ის წევრები, რომლებსაც გასულ არჩევნებზე დაკისრებული პასუხისმგებლობა არაჯეროვნად შეასრულეს, სხვადასხვა ხარისხის სასჯელი უკვე მიიღეს. 2010 წლის არჩევნების დროს ქუთაისის ოლქში შემავალ საარჩევნო უბნებზე კომისიის წევრებში დისციპლინარული გადაცდომის 100-მდე შემთხვევა დაფიქსირდა.

სასჯელის სახე კი დარღვევის ხარისხის მიხედვით განისაზღვრება. ეს შეიძლება იყოს შენიშვნა, გაფრთხილება, უფლებამოსილების შეწყვეტა, ან ხელფასის 20%-ის დაკავება.

ქუთაისის საარჩევნო ოლქში უბნის წევრების მიერ მიღებული სასჯელები ასე გადანაწილდა: 63 წევრმა შენიშვნა მიიღო, 27-მა წევრმა - გაფრთხილება. 8 წევრს ხელფასის 20% დაუკავდა, ხოლო 8 წევრს უფლებამოსილება შეუწყდა. ჩვეს მიერ მონაცემების გადამოწმების შედეგად ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი პირები ამჟამად კომისიებში ნამდვილად აღარ არიან.

„ჩვენ არ ვპატიობდით უმნიშვნელო დარღვევასაც კი. დარღვევის მიზეზი იყო ის, რომ არ გამოცხადდნენ ტრენინგზე ან ჩანაწერის წიგნი არ იყო დალუქული,“ - ამბობს საოლქო კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ოსეფაიშვილი.

ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც დამკვირვებლები იყვნენ 2010 წლის არჩევნების დროს, აცხადებენ, რომ ხშირ შემთხვევაში კომისიის წევრებს სათანადო კომპეტენცია არ გააჩნიათ.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი ნოდარ ჯიქია აცხადებს, რომ გასულ არჩევნებზე კომისიის წევრთა უმრავლესობას პასუხისმგებლობა მათ მიერ დაწერილი საჩივრების მიხედვით დაეკისრა, რადგან ისინი არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულნი. აღნიშნულიდან გამომდინარე საიას ქუთაისის ფილიალმა საოლქო კომისიას მთელი რიგი რეკომენდაციები შესთავაზა. ერთ -ერთი მათ შორის კომისიის წევრების სერტიფიცირებაა.

„უმრავლესობას საარჩევნო გამოცდილება აქვს. არიან სერტიფიცირებულებიც, თუმცა კანონის თანახმად,

საუბნოს წევრებს სერტიფიკატის ფლობა არ მოეთხოვებათ. ეს ცესკოსა და საოლქოში მოსახვედრად არის საჭირო,“ - ამბობს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

მზადება არჩევნებისთვის

რამდენად არიან დღესდღეობით კომისიების წევრები მზადყოფნაში არჩევნების ჩასატარებლად - ამ და სხვა მიმართულებით კომისიების მუშაობას მონიტორინგს არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაციები უკვე უწყვენ.

„სამართლიანი არჩევნების“ ქუთაისის რეგიონალური კოორდინატორი თეონა გოგიშვილი აცხადებს, რომ მათ უკვე დაიწყეს მონიტორინგი უბნებზე, რაც ერთის მხრივ გულისხმობს, კომისიის წევრების შემაღველობის კვლევას და მეორეს მხრივ, რამდენად გამართულად ფუნქციონირებს უბნები.

„შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დავარკვირდებით უბნების საქმიანობას,“ - ამბობს თეონა გოგიშვილი.

საოლქო საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ საუბნო კომისიებში ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა არჩევნებამდე 15 დღით ადრე დაიწყება. ავთანდილ ოსეფაიშვილის თქმით, საარჩევნო უბნებზე იქნება ქსეროქსი. ასევე, არ არის გამორიცხული ყველა უბანზე იყოს ფაქსი, კომპიუტერი ან ლეპტოპი, სადაც ჩატვირთული იქნება ამომრჩეველთა სია და უბანზე შეცდომით მისულ ამომრჩეველს გადაამოწმებენ.

საოლქოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ასევე აღნიშნავს, რომ საუბნო კომისიის თავმჯდომარეებს ექნებათ კორპორატიული ნომრები, რომლებიდანაც sms-ის სახით ცესკოს მიაწვდიან ინფორმაციას საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.



სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.